

ტექნიკური დავალება

2018 წელი

ბიომრავალფეროვნების მდგომარეობის კვლევა შეფასება - რაჭა-რიცეულაჰესების და ხედეთურის კაშხლის განთავსების არეალში.

- ფლორა; ფაუნა; ფიზიკური გარემო - არსებული მდგომარეობა და ბიომრავალფეროვნებაზე გამოწვეული ზეგავლენის შეფასებები.
- წყალმიმღები კაშხლების არეალში (მდ.რიცეულა და ხედეთურის შენაკადი, ზედა და ქვედა ბიეფი), იქტიოფაუნის და მისი საკვები ბაზის, კერძოდ ზოობენტოსისა და ფიტობენტოსის, არსებული მდგომარეობის შესწავლა - დაფიქსირება და იდენტიფიცირება.
- ეკოლოგიური ხარჯის (რაჭაჰესის კაშხალი- 0.546 მ³ წ. ხედეთურის კაშხალი- 0.117 მ³ წ.) საკმარისობის შეფასება - წლის ყველა სეზონზე განხორციელებული დაკვირვების საფუძველზე, ხარჯის საკმარისობის შეფასების მეთოდოლოგიის, პროცესის და შედეგების შესახებ.
- კაშხლებზე არსებული თევზსავლების ეფექტურობის შეფასება, თევზის მიგრაციის პერიოდში.
- გაანალიზდეს და შეფასდეს თევზის სახეობებზე გამოწვეული ზეგავლენის საკითხები, კერძოდ: სადაწნეო მილსადენში თევზის მოხვედრის გამოსარიცხად - წყალმიმღებ კვანძებზე თევზამრიდი გისოსების ცხაურების (თვლის) ზომების ეფექტურობა, წყლის ნაკადის რეკომენდირებული სისწრაფის შეფასება/განსაზღვრა და სხვა სახის ქმედითი რეკომენდაციების შემოთავაზება. 2017 წლის ბიომრავალფეროვნების ანგარიშის თანახმად მდ.რიცეულას ძლიერ ლოდნარიანი მონაკვეთების არსებობამ შესაძლოა გამოიწვიოს თევზის მიგრაციის შეფერხება. ამ მიზნით, ერთ-ერთ შემარბილებელ ზომად მითითებულია წყლის ხარჯის ნელი შემცირება. საჭიროა აღნიშნული საკითხის დამატებითი კვლევა, განსაკუთრებით ეკოლოგიური ხარჯის საკითხთან მიმართებით და შედეგების ანგარიშში ასახვა, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით.
- ხედეთურის კაშხლის არეალში ორინთოლოგიური (კვლევა) შეფასება.

ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია განხორციელებული სავლე კვლევების შესახებ, შესაბამისი ფოტომასალით.

ვ.ლომჯარია